№ 112 მთავრობის მოამგე — ოფიციალური გაზეთი — ნელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. შაბათი, მაისის 22 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

## გორის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საგვო და გამგეობა

სთხოვს საზოგადოების წევრებს დაესწრონ კვირას, 23 მაისს 1920 წ. დილის 11 საათ. გორის საკრებულოს საზაფხულო დარბაზში

## საზოგადოების მორიგ წლიურ კრება,

თუ პირველი კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, მეორე კრება ინიშნება ამავე წლის 6 თებერვეს; მეორე კრება კანონიერია, მიუხედავად დამსწრე წევრთა რიცხვის რაოდენობისა.

**განსახილველი საგნები:**

1. გამგეობის და საბჭოს მოხსენება საქმეთა მდგომარეობის შესახებ.
2. განხილვა და დამტკიცება 1919 წლის ანგარიშისა.
3. განხილვა და დამტკიცება 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.
4. არჩევნები საბჭოს ორი წევრისა ნაცვლად ა. ზ. მეზურიშვილისა და პ. ქ. ჯაფარიძის, რომელთაც ვადა გაუვიდათ.
5. არჩევნები გამგეობის სამი წევრისა.
6. არჩევნები სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათი კანდიდატებისა 1920 წლის ანგარიშის შესამოწმებლათ და სხვა საკითხები, რომელნიც პირდაპირ შეეხებიან დღიურ წესრიგს.

490 3—2

## ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი იმყოფება

სასახლეში, სადაც კომიტეტის თავმჯდომარე სერ. ჟორჟოლიანი იძლევა ყოველგვარ ცნობებს კომიტეტის მუშაობის შესახებ; იგი ღებულობს ფრონტის საჭიროებისათვის მუშაობის მოსურნე პირთაგან განცხადებებს. აქვე მორიგეობს კომიტეტის წევრი, სასახლეშივე, კომ. მოლარე დიმ. კალანდარიშვილი და საქმის მწარმოებელი გ. ქიქოძე ღებულობს ყოველგვარ შემოწირულებას. ტელ. 3—87, 6—02.

1131 3—2

## სახელმწიფო თეატრი

### იწვევს გუსიკოსებს სახელმწიფო სამსახურში

**თეატრთან არსებულ ორკესტრისათვის**

თითეული ორკესტრანტი მიიღებს გარდა ჯამაგირისა სრულ სურსათის ულუფას. მიღება მოხდება კონკურსით. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ სახელმწიფო თეატრის კონტროლში ყოველდღე 11—2 საათ. და საღამოს 7—9 საათამდე. კონკურსის დღე ცალკე იქნება
520 გამოცხადებული. ორკესტრი იარსებებს ამა წლის 1 ივნისიდან. 1—1

## საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ შაბათს, მიმდინარე მაისის 29-ს საღამოს 7 საათზე გამგეობის ბინაზე (რესპუბლიკის ქუჩა № 8) დანიშნულია აქციონერთა საგანგებო

529 **საზოგადო კრების გაგრძელება** 2—1

## განცხადება

### უვადა კერძო, საზოგადო და სახელმწიფო სანარმოო დარგების და დაწესებულებათა ადმინისტრაციები,

რომელთა მუშა-მოსამსახურენი სარგებლობენ მომარაგების სახელმწიფო ფონდით მუშათა მაგიდიდან,—მოვალენი არიან მიმდინარე წლის 25 მაისამდე წარმოუდგინონ მუშათა მაგიდას მუშა-მოსამსახურეთა ახალი სიები, რომლების ფორმა გამომუშავებულია შრომის სამინისტროს მიერ.

სიები უნდა იყოს შედგენილი მუშათა მაგიდის ბლანკებზე. ბლანკის ფურცელი ღირს 3 მანეთი და შეიძლება მიღება შრომის სამინისტროში ყოველ დღე 1—3 საათამდე.

ყალბი ცნობების წარმომდგენელთ სახელმწიფო ფონდიდან პურის და სხვა სანოვაგის მიკემის უფლება დაეკარგებათ.

527 1—1 **შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდა.**

## საჯარო ვაჭრობა

### გორჯომის სახელმწიფო მამულის სამართველო

ამით საყურადღებოდ აცხადებს, რომ ორშაბათს 31 მაისს, ქალ. ბორჯომში სამართველოს კანტორაში დილის ათ საათიდან შესდგება

**საჯარო ზეპირი ვაჭრობა სასტუმროებისა და სხვა სავაჭრო შენობების**

იჯარით გაცემაზე. ვაჭრობა დაიწყება: 1) სასტუმრო „მინერალური წყლები“ 24 ავეჯით მოწყობილ ოთახით ასი ათას მანეთიდან; 2) სასტუმრო „ბორჯომი“ 18 ავეჯით მოწყობილი ოთახით 50 ათასი მან-დან; 3) ბუფეტი „ეკატერინეს წყაროს“ გალერეაში 30 ათასი მან-დან; 4) პავილიონი სარძევე 5 ათასი მან-დან; 5) იქვე პატარა პავილიონი მონოგრამების სამუშაო ორი ათასი მან დან; 6) იქვე პავილიონი ბეჭდვითი ნაწარმოებთა სამი ათასი მან-დან; 7) შენობა ქარვასლაში ბორბალის და სხვ. საწყობათ 5 ათასი მან-დან; 8) სავაჭრო სახლი სამი დუქნით და სარდაფით 15 ათასი მან-დან; 9) ხუთი ბუდკა-დუქანი მწვანე ბაზარში თითო ხუთი ათას მან-დან. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შეიტანონ სამართველოს კასაში 1/3 შეფასებისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე სამართველოში ბორჯომში.

1098 3—1

## სენაკის საშაზრო ეროგის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე მაისის 27-ს დილის 11 საათზე გამგეობის დარბაზში საჯარო შეჯიბრებით იჯარით გაიცემა საზაფხულო საძოვარი მთა 1) „ასხი“ და 2) „ჩეგოლა ლებარდეს“ რაიონები. პირველის ფასი დაიწყება 200.000 მანეთიდან—ხოლო მეორესი მინერალური წყლებიანათ 200.000 მან. დაწვრილებით პირობების გაცნობა მსურველს შეუძლია გამგეობაში ყოველ სამეცადინო დღეებში.

თუ დანიშნულ დღეს შეჯიბრება არ შესდგა, ხელმეორედ მოხდება 30 მაისს.

521 3—2

## გამოცდილი დურგალი

ეძებს სამუშაოს, თავის დაზგა იარაღით. მისამართი: ბათუმის ქუჩა, № 12. დიდუბე, ალ. ბიბილური. 1128 3—2

## ოფიციალური განყოფილება

## კანონი

### სადისციპლინო წესდების დამტკიცებისა.

1. დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული სადისციპლინო წესდება.

1920 წ. აპრილის 30.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი
**ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### სადისციპლინო წესდება.

**თავი I.**

**საზოგადო დებულება.**

1. სამხედრო დისციპლინა ავალებს ყველა სამხედრო პირს სამხედრო კანონებში აღნიშნულ წესების მტკიცეთა და სწორედ დაცვას, სამსახურის მოვალეობათა კეთილსინდისიერად ასრულებას, უფროსთა ბრძანების სიმტკიცითა და სისწორით შესრულებას და უფროსების მიმართ შესაფერ პატივისცემას.

2. ბრძანების შედეგის პასუხისმგებლობა დაეკისრება მბრძანებელს და არა აღმასრულებელს, თუ უკანასკნელმა სისწორით შეასრულა ბრძანება.

3. აღმასრულებელს ეკრძალება და იგი პასუხის აგებს უფროსის ისეთ ბრძანებისა აღსრულებისათვის, რომელიც მიმართულია რესპუბლიკის, მთავრობის წინააღმდეგ, ან აღმასრულებლის მიერ დადებული ფიცის დარღვევისაკენ.

4. ყოველი უფროსი ვალდებულია დაიცვას ჯარის ნაწილში და ხელქვევითთა შორის სამხედრო დისციპლინა და წესიერება. ამასთან ერთად მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს: ხელქვევითთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა, ზრუნვა მათი კეთილდღეობისათვის, გაზიარება მათი გაჭირვებისა, მათთვის რჩევა და ხელმძღვანელობა. ზედმეტი სიმკაცრე, თუ სამსახურის სარგებლობა არ მოითხოვს, მიშვებული არ უნდა იქნეს.

უფროსი ვალდებულია ყოველ ოფიცერსა და ჯარის კაცს შეაგნებინოს და გაუღვივოს მხედრობის მაღალი მნიშვნელობა და სამსახურის მოვალეობათა აღსრულების აუცილებლობა.

5. სამხედრო დისციპლინის დარღვევისა ან და აშკარა ურჩობის დროს უფროსი ვალდებულია ყოველი ზომა იხმაროს წესიერების აღსადგენად; უკიდურეს შემთხვევაში იგი ვალდებულია ძალას მიმართოს და იარაღით აღადგინოს წესიერება. ყოველი სამხედრო პირი, მიუხედავად თანამდებობისა და სახელწოდებისა, ვალდებულია დაეხმაროს წესიერების აღმდგენელს. ამ მუხლში აღნიშნული ზომების მიღება და საქმის გარემოება წესიერების აღმდგენელმა დაუყონებლივ უნდა აცნობოს თავის უფროსს.

6. ეს წესდება იხმარება ყველა მწყობრივსა და არამწყობრივს ჯარის ნაწილებსა და გუნდებში თანამდებობათა შეფარდების დაცვით.

7. დისციპლინარი უფლებანი სამხედრო უწყების პირთა, როგორც მწყობრივსა ისე არამწყობრივის, ამ წესდებაში პირდაპირ არ აღნიშნულთა განისაზღვრება ამ წესდებასთან შეხამებით შესაფერ კანონმდებლობაში ნაგულისხმევ პირების უფლებათა მიხედვით.

**თავი II.**

**დისციპლინარი დანაშაული და სასჯელი.**

8. დისციპლინარი სასჯელი [დადება დამნაშავეს უფროსის უფლებით ისეთი მცირე დანაშაულისათვის, რომელიც არღვევს სამხედრო დისციპლინას ან საზოგადოებრივ წესიერებას და მყუდროებას, დამნაშავე კი ამისთვის სამართალში მიცემულ არ იქნება.

9. დისციპლინარ სასჯელთა დადება ეკუთვნის მხოლოდ იმ უფროსებს, რომელთა განკარგულებაშიაც დამნაშავენი იმყოფებიან, ან რომელსაც სამსახურის წესით ექვემდებარებიან, თუნდაც დროებით.

10. დისციპლინარ სასჯელთა მინიჭების უფლება, რომელიც ეკუთვნის მცირე თანამდებობის უფროსებს, ეკუთვნის აგრეთვე მაღალ თანამდებობის უფროსებს.

11. იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულობისათვის, რომელიც მოხსენებულია საერთო სამხედრო სისხლის სამართლის კანონებში და სასჯელთა შორის ნაჩვენებია დისციპლინარი სასჯელიც, მაშინ ერთეულის უფროსი გადასწყვეტს, აკმაროს დამნაშავეს დისციპლინარი სასჯელი თუ გადასცეს სამხედრო ბრალმდებელს (პროკურორს) დამნაშავის სამართალში მისაცემად. თუ სამხედრო სასამართლო დისციპლინარი წესით საქმეს მოსპობს, მაშინ დამნაშავის უფროსს ეკუთვნის განსაზღვრა დისციპლინარი სასჯელის საზომისა.

12. კანონის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის სამართალში მიუცემლობა და ამის მაგიერ დისციპლინარი სასჯელის მინიჭება დამნაშავეს არ ათავისუფლებს სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობისაგან, მხოლოდ დისციპლინარი წესით მოხდილი სასჯელი ჩაეთვლება სასამართლოს განაჩენის გამოტანის დროს.

13. ჯარის კაცებს, ოფიცრებს და სამხედრო მოხელეთ დაედებათ შემდეგი დისციპლინარი სასჯელი;

ა) გაკიცხვის გამოცხადება სიტყვიერად ან ბრძანებით.

ბ) რიგ გარეშე დანიშვნა განწესებაში არა უმეტეს ექვსი გზობისა.

გ) დაპატიმრება არა უმეტეს ორი კვირისა.

**შენიშვნ.**: პატიმრობაში გატარებული დღეები არ ჩაეთვლება საერთო სამსახურის ვადაში.

14. დაპატიმრება მდგომარეობს შემდეგში:

I. ჯარის კაცთათვის ორგვარია:

ა) საერთო ოთახში მოთავსება სამსახურის ასრულებით.

ბ) ცალკე ნათელ ოთახში მოთავსება, სადაც ქვეშაგები ეძლევა მხოლოდ ღამით.

II. ოფიცერთათვის, ზემდეგებისათვის და ზედმეტ მსახურ ნაცვალთათვის მთავარ სადარაჯოს ბინაზე ცალკე, ნათელ ოთახში მოთავსება მორიგ ოფიცერის ზედამხედველობით. ზემდეგი და ზედმეტმსახური ნაცვლები მოთავსდებიან როგორც ოფიცრებისაგან, ისე ჯარის კაცებისაგან ცვლკე.

15. ყველა დაპატიმრებულთ ჩამოერთმევათ ყოველ გვარი მჭრელი და სასროლი იარაღი, რომელიც ინახება ათასეულის სამმართველოში სასჯელის მოხდამდე.

16. ლაშქრობისას, ან ჯარების მოთავსების გამო, თუ დაპატიმრება შეუძლებელია, დაპატიმრება სისრულეში მოიყვანების პირველ შეძლებისთანავე.

# მაისის 29 და 30-საა ფრონტის დღე

## თავი III.

### უფროსთა დისციპლინარი უფლება.

17. მეუფროსე ჯარის-კაცნი და გუნდის ოფიცრები ხელქვეით ჯარის კაცთა ყოველ დანაშაულს მოახსენებენ უმცროს—უფროსობის წესით გუნდის უფროსს რათა დამნაშავეს დისციპლინარი სასჯელი დაედოს.

18. გუნდის უფროსებს და მათ თანასწორუფლებიან პირთ უფლება აქვთ ხელ ქვეით ოფიცრებსა და ჯარის-კაცთ მიუსაჯონ:

I. ოფიცრებს გამოუცხადონ სიტყვიერი გაკიცხვა.

II. ჯარის-კაცთ: ა) რიგს გარეშე დანიშვნა განწესებაში ოთხჯერ.

**შენიშვნა:** რიგს გარეშე დანიშვნა უნდა ხდებოდეს დღე გამოშვებით.

ბ) დაპატიმრება ხუთი დღე-ღამის ვადით მე-16 მუხლში „ა"-ს განყოფილებაში აღნიშნული წესით.

19. ათასეულის უფროსის თანაშემწეთ საათანადო ნაწილში უფლება აქვთ:

I. გუნდის უფროსებს და ოფიცრებს გამოუცხადონ სიტყვიერი გაკიცხვა და რიგ გარეშე დანიშნონ განწესებაში ორჯერ.

II. ჯარის-კაცნი ა) რიგ გარეშე დანიშნონ განწესებაში ექვსჯერ, ბ) დააპატიმრონ მე-16 მუხლში „გ"-ის განყოფილებაში აღნიშნულის წესით ათი დღე-ღამის ვადით.

20. ათასეულის უფროსსა და მის თანასწორუფლებიან პირთ უფლება აქვთ: თანაშემწეს გამოუცხადონ გაკიცხვა სიტყვიერად ან ბრძანებით. დანარჩენ ოფიცერთა მიმართ ამის გარდა:

I. რიგ გარეშე დანიშნოს განწესებაში ოთხჯერ.

II. დააპატიმროს ვიდრე შვიდ დღე-ღამემდე.

ათასეულის უფროსი ჯარის-კაცებისადმი სარგებლობს სრულს დისციპლინარს უფლებას.

21. ბრიგადის უფროსის თანაშემწეს უფლება აქვს: ათასეულის უფროსს გამოუცხადოს სიტყვიერი გაკიცხვა, ბრიგადის დანარჩენ ოფიცერთა მიმართ:

I. რიგ გარეშე დაინიშნოს განწესებაში ექვსჯერ.

II. დააპატიმროს ათი დღე-ღამის ვადით.

ბრიგადის უფროსის თანაშემწე ბრიგადის ყველა ჯარის-კაცთა მიმართ სარგებლობს სრულს დისციპლინარს უფლებას.

22. ბრიგადის უფროსს უფლება აქვს თავის თანაშემწეს, ათასეულის უფროსს, შტაბის უფროსსა და ბრიგადის მნეს გამოუცხადოს გაკიცხვა სიტყვიერად ან ბრძანებით. ბრიგადის დანარჩენ ოფიცერთა და ჯარის-კაცთა მიმართ ბრიგადის უფროსი სარგებლობს სრულს დისციპლინარს უფლებას.

23. სამხედრო მინისტრს აქვს უფლება ბრიგადის უფროსთა და მათ თანასწორუფლებიან პირთ სიტყვიერად ან სამხედრო უწყების მიმართ ბრძანებით გამოუცხადოს გაკიცხვა. ყველა დანარჩენ სამხედრო პირთა მიმართ სამხედრო მინისტრი სარგებლობს სრულს დისციპლინარს უფლებას.

24. სამხედრო მინისტრის თანაშემწე სარგებლობს იმავე დისციპლინარ უფლებას, როგორსაც თვით სამხედრო მინისტრი.

25. სამხედრო მოხელენი დისციპლინარი სასჯელის მინიჭების მხრით შეუფარდებიან მათთან ერთნაირ თანამდებობის ოფიცერთ. თავის მხრით, თანამდებობის მიხედვით მათაც აქვთ დისციპლინარი უფლება.

26. ცალკე ერთეულად (ათასეულზე ნაკლებ) ამ მცირე გუნდით ყოფნა სადმე მივლინებით ადიდებს ამ ნაწილების უფროსების დისციპლინარ უფლებას. ერთეულის უფროსი შეეფარდება ამ შემთხვევაში ათასეულის უფროსის თანაშემწეს, მცირე გუნდის უფროსი კი—გუნდის უფროსს, მიუხედავთ იმისა—უფროსად ოფიცერია თუ ჯარის-კაცი.

## თავი IV.

### დისციპლინარ სახჯელთა მინიჭება განსაკუთრებულ შემთხვევაში.

27. გარნიზონას უფროსებს, კომენდანტებს, კარვობის უფროსთ ან მათ მოადგილეთ უფლება აქვთ დააპატიმრონ არა თავის გამგებლობაში მყოფი სამხედრო უწყების პირნიც იმავე უფლებით, როგორც ხელქვეითნი, შემდეგ შემთხვევაში:

1. როცა დანაშაული ეხება საზოგადოებრივ მყუდროებისა და წესრიგის დარღვევას. მომავალო თაობავ, შეასრულეთ თქვენი ვალი ტკბილ სამშობლოს წინაშე, მცირე საჩუქრის მოწოდებით ფრონტზე მდგომ მეომართათვის.

---

II. როცა დარღვეულია მათ მიერ გამოცხადებული სამხედრო ადმინისტრატიული რაიმე ზომები.

III. როცა დანაშაული ჩადენილია სადარაჯოთ ყოფნისა ან სამსახურის სხვა მოვალეობათა ასრულების დროს მინდობილ მიდამოში.

IV. როცა დანაშაული ჩადენილია იმისთანა სამხედრო პირისაგან, რომელსაც ამ ადგილას არა ჰყავს დისციპლინარი უფლებით მოსილი არც ერთი უშუალო უფროსი.

V. როცა დანაშაული ჩადენილია დათხოვნის ან მივლინების განმავლობაში, თუნდაც იმ ადგილას იმყოფებოდეს დამნაშავის პირდაპირი უფროსი.

28. მახლობელი უფროსი, როდესაც თავის უფლებას სასჯელის დადებაში საკმარისად არ სცნობს, მოახსენებს უფროსს სასჯელის განსაზღვრისათვის.

29. იმისთანა პირთა ერთად სამსახურის დროს, რომელნიც ერთმანეთის ხელქვეითნი არ არიან, თანამდებობით უფროსი ითვლება უფროსად; თანამდებობათა ერთგვაროვნის შემთხვევაში ნამსახურებით უფროსი უკანასკნელ თანამდებობაში მიიჩნევა უფროსად და უფროსის მიმართ სარგებლობს მინიჭებულ დისციპლინარ უფლებას.

30. უმცროსის მიერ უფროსის წინაშე სამხედრო სამსახურის საერთო წესისა და დისციპლინის ან საჯარო ადგილას საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დარღვევის და სამხედრო პატივცემულობისა და ზდილობის შეუსრულებლობის დროს მეუფროსე მოვალეა მოაგონოს უმცროსს; საჭირო შემთხვევაში დაუყონებლივ უნდა შეატყობინოს საკომენდანტოს ან ჯეროვან სამხედრო უფროსს შესაფერი განკარგულებისთვის.

31. მე-30 მუხლში ნაჩვენები შემთხვევის შესახებ მეუფროსე ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს ყოველ შემთხვევისთვის დამნაშავისა ან გარნიზონის უფროსს.

32. როცა საჩივარისა ან უმაღლეს უფროსობისათვის დასმენის წყალობით გამოაშკარავდება, რომ ხელქვეითის დანაშაული უახლოესი უფროსის მიერ დაუსჯელათ არის დატოვებული, ან როცა უმაღლესი უფროსობა დანახავს, რომ თვით სასჯელი არ შეეფერება დანაშაულის თვისებას ან დანაშაულის მნიშვნელობას, მაშინ უმაღლესი უფროსობა თვით განსაზღვრავს დისციპლინარ სასჯელს, თუ დამნაშავემ უკვე არ მოიხადა ან ამ ჟამად არ მოიხდის მახლობელი უფროსის მიერ დადებულ სასჯელს.

33. დისციპლინარი წესით არ შეიძლება ერთსა და იმავე დანაშაულისათვის ერთი გზობის მეტჯერ დაისაჯოს. აკრძალულია აგრეთვე ერთი სასჯელის მეორესთან შეერთება და დისციპლინარი სასჯელის სახით დაპატიმრების დადება უვადოთ.

34. ყოველი დისციპლინარი სასჯელი უნდა შეეფერებოდეს დანაშაულობის მნიშვნელობას, სასჯელის სახისა და საზომის დანიშვნის დროს მიიღება მოსაზრებაში: თვისება დანაშაულისა, თანხლებული გარემოებანი, დამნაშავის წინანდელი ყოფაქცევა; სამსახურის მოვალეობათა აუსრულებლობის დანაშაულობაში—დამნაშავის სამსახურში ყოფნის დრო და სამსახურის წესის ცოდნის მეტ-ნაკლებობა.

35. სიმკაცრე დისციპლინარ სასჯელთა გადიდდება, თუ დამნაშავე რამდენჯერმე იყო შემჩნეული ერთისა და იმავე სახის დანაშაულობაში, თუნდაც თვისებით სხვა და სხვა ნაირში, მაგრამ, თუ სასჯელმა არავითარი გავლენა იქონია, ან როცა დანაშაულობა ჩადენილია სამსახურის მოვალეობათა აღსრულების დროს, ან თან სდევს უფროსთა მიმართ უპატივცემლობა ან და შედეგათ მოჰყვა მას რაიმე არეულობა.

36. უფროსების მიერ დადებული დისციპლინარი სასჯელი, თუ განსაკუთრებული რამ არ უშლის ხელს, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი; თუ დისციპლინარი სასჯელი დადებულია უმაღლეს უფროსისაგან, იმაზეა დამოკიდებული თვით მოახდინოს განკარგულება სისრულეში მოყვანისათვის ან მიანდოს ეს დამნაშავის მახლობელ უფროსს.

37. ხელქვეითისათვის დადებული დისციპლინარი სასჯელის სისრულეში მოყვანა არ შედგება უფროსის განკარგულების გამო საჩივრის შეტანით ვიდრე ამ განკარგულების შეცვლის ბრძანება არ მოვა უმაღლესი უფროსისაგან.

38. დისციპლინარი სასჯელის სისრულეში მოყვანა გადაიდება, თუ დამნაშავე მთვრალია; აგრეთვე არ ხდება მისი დაკითხვა გარდა წინასწარ დაპატიმრებისა. ერთიც და მეორეც გადაიდება გამოფხიზლებამდე.

**შენიშვნა:** ამ შემთხვევაში წინასწარი დაპატიმრება არ ჩაითვლება დისციპლინარ სასჯელად.

## თავი V.

### პატიჟთა ჟურნალი.

39. ყველა დისციპლინარი სასჯელი შეიტანება ჟურნალში.

40. თვითეული ჯარის ერთეულში უნდა იყოს ორი ჟურნალი.

1) ჯარის-კაცთათვის პატიჟთა ჟურნალი, რომელიც სწარმოებს ყოველ ასეულში და ცალკე მეორე გუნდშიაც.

II) ბატიჟთა ჟურნალი ოფიცრებისა და სამხედრო მოხელეთათვის, საერთო ყველა ცალკე ერთეულში.

41. პატიჟთა ჟურნალში შეიტანება აგრეთვე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სასჯელიც.

42. პატიჟთა ჟურნალის ყოველივე მუხლი უნდა შემოწმებული იქნეს ასეულის უფროსის ხელის მოწერით. ათასეულის უფროსის თანაშემწენი მოვალენი არიან გადაშინჯონ ჟურნალი ყოველ ორ კვირაში და ხელის მოწერით ჟურნალის ყოველ ფურცელზე, რომელიც ეკუთვნის თითო ჯარის კაცს, შეამოწმონ დისციპლინარ სასჯელის სისწორე ან აღმოჩენილი გადახრილობა.

43. ოფიცერთა და სამხედრო მოხელეთა პატიჟთა ჟურნალში თვითეული მუხლი შემოწმებულია ათასეულის ადიუტანტის მიერ.

44. ოფიცერთა, სამხედრო მოხელეთა და ჯარის-კაცთა ერთი ერთეულიდგან მეორეში გადაყვანისას ან მივლინებისას საჭირო წერილობით ცნობენთან ერთად იგზავნება აგრეთვე ამოწერილობა პატიჟთა ჟურნალისა.

45. საინსპექციო გაშინჯვის და დაკითხვის დროს ინსპექციის მომხდენი უფროსი უეჭველად გასინჯავს პატიჟთა ჟურნალს.

46. ყველა ათასეულში და მის თანასწორ სამხედრო ნაწილში არსდება ათასეულის თანაშემწისა, ან და მის თანასწორ პირის თავმჯდომარეობითა და ასეულის ორი უფროსისა, ან თანასწორ უფლებით აღჭურვილ პირთა შედგენილობით, დისციპლინარი კომისია, რომელიც მოვალეა ყოველი თვის ბოლოში გადასინჯოს დისციპლინარი პატიჟთა ყველა ჟურნალი, შეამოწმოს მისი წესიერად წარმოება და განიხილოს პატიჟთა დადების სამართლიანობა.

47. ყველა დასჯილ ოფიცერს და ჯარის-კაცს შეუძლია უახლოესი უფროსის საშუალებით შეიტანოს კომისიის უახლოეს კრებაში საჩივარი სასჯელის უსამართლობისათვის თუ სასჯელი სამი დღით დაპატიმრებას აღემატება.

48. კომისია განიხილავს ყოველ საჩივარს და თავის გადაწყვეტილებას მოახსენებს ათასეულის (ან მის თანასწორ უფლებიან) უფროსს.

49. ათასეულის უფროსი, თუ დასთანხმდება კომისიას, შესაფერ განკარგულებას გასცემს, წინაალმდეგ შემთხვევაში საქმე მოხსენდება ბრიგადის უფროსს, რომელიც საბოლოოდ გადასწყვეტს საკითხს.

50. ვინც აღნიშნულ კომისიაში არ განასაჩივრა სასჯელის უსამართლობა უფლება წაერთმევა განასაჩივროს იგი საინსპექციო გასინჯვის და დაკითხვის დროს. განსაჩივრება კომისიაში კი არ წაართმევს უკანასკნელ უფლებას.

51. ათასეულის უფროსის (ან თანასწორუფლებიანი პირის) მიერ დადებული პატიჟი განისაჩივრება ბრიგადის უფროსის (ან თანასწორუფლებიან პირის) წინაშე.

## თავი VI.

### ხაჩივარი.

52. სამხედრო პირთა განცხადება უფროსების მხრით მათ მიმართ:

ა) უკანონო და უმართებულო მოქმედების და განკარგულებისათვის.

კვირას, 23 მაისის, დილის 10 საათიდან სასახლეში მიიღებენ ახალგაზრდობისაგან ფრონტზე გადასაგზავნათ გამზადებულ ჩანთებს, პარკებს საჩუქრებითურთ.

---

ბ) სამსახურით მინიჭებულ უფლებათა და უპირატესობათა დარღვევისათვის.

გ) დაწესებული ულუფის უკმაყოფილებისათვის განცხადება იწოდება საჩივრად.

53. საჩივრის წარდგენა არ შეიძლება მწყობრი დგომის დროს, საყარაულო და საერთოდ სამსახურის განწესებათა შესრულებისას.

54. სასჯელის სიმკაცრისა გამო ჩივილი არ შეიძლება, თუ უფროსმა არ გადაამეტა თავის დისციპლინარ უფლებას.

55. საჩივარი განიცხადება სიტყვით ან წერილობით საინსპექციო სინჯვის დროს და მის გარეშეც.

56. აკრძალულია საჩივრის მიტანა ჯგუფობრივ, აგრეთვე რაიმე ყრილობისა ან კრების გამართვა ამის თაობაზე მსჯელობისათვის.

57. საინსპექციო სინჯვის დროს საჩივარი წარედგინება ინსპექციის მომხდენ პირს, რომელიც პირადათ აცხადებს მწყობრის წინ დროს და ადგილს საჩივართა მიღებისათვის, ამასთან თვითეული მომჩივანი მისგან ცალკე მოისმინება.

58. საინსპექციო სინჯვის გარეშე საჩივარი ყოველთვის ასეულის (ბატარეის) უფროსს წარედგინება; თუ საჩივარი ასეულის უფროსზეა, მაშინ ასეულში (ბატარეიებში) უფროსს ოფიცერს გადაეცემა.

**შენიშვნა:** ასეულის უფროსი ან ასეულის ოფიცერი, რომელთაც საჩივარი მიიღეს, ვალდებულნი არიან ხელქვეითობის წესის მიხედვით დაუყონებლივ მსვლელობა მისცენ საჩივრს, თუნდაც გვერდის ახვევით იმ უფროსისა, რომელზედაც საჩივარი შეიტანეს. ამასთან, თუ საჩივარი სიტყვიერად არის განცხადებული, მაშინ შინაარსი საჩივრისა უნდა წერილობით გამოიხატოს.

59. მხოლოდ საინსპექციო სინჯვაზე გაგზავნილი საჩივარი შეიძლება შეტანილი იქნეს ორი კვირის განმავლობაში დღიდან საინსპექციო გაშინჯვისა, თუ მომჩივანმა გაიგო საჩივრის საფუძველად გამოსადეგი მიზეზი; აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ საჩივრის შეტანა შეუძლებელია, შეტანილი კიდევ არ გაირჩევა.

60. ყველა ასეულში უნდა იყოს საჩივართა ჟურნალი, სადაც გუნდის უფროსის მიერ ან უმაღლესი მთავრობის განკარგულებით შეიტანება ჯარის-კაცთა საერთოდ ყველა საჩივარი და მათზედ მოხდენილი განკარგულება.

61. საჩივართა ჟურნალი მიეცემა ასეულს ასასეულის უფროსისაგან, მისივე ხელის მოწერით, ზონარ-გაყრილი და ბეჭედ-დასმული.

62. საჩივართა ჟურნალი წარედგინება საინსპექციო სინჯვის დროს, განკარგულებათა სისწორის შესამოწმებლად.

63. საჩივრის მიღებიდგან ერთი კვირის განმავლობაში სამხედრო უფროსი ატყობინებნ მომჩივანს გადაწყვეტილებას, ან და იმ მიმართულებას, რომელიც მიეცემა საჩივარს, თუ აღნიშნული ვადის განმავლობაში განკარგულების მოხდენა შეუძლებელია.

64. სამხედრო პირთ, რომლებმაც ორი კვირის განმავლობაში ვერ მიიღეს ცნობა ან გადაწყვეტილება, უფლება აქვთ საჩივარი შეიტანონ სამართლიანობაზე ამა წესდების მიღებულ წესით, ხელქვეითობის მიხედვით, უმაღლეს სამხედრო უფროსთან.

65. შეტანილი საჩივრის უფროსის გადაწყვეტილების უკმაყოფილო სამხედრო პირს უფლება აქვს ახალი საჩივარი შეიტანოს გადაწყვეტილების გამომტანი პირის უშუალო უფროსთან.

66. სამხედრო უფროსის გადაწყვეტილება მეორე საჩივარზე მიიჩნევა საბოლოოდ და მისი ხელახლად განსაჩივრება აღარ შეიძლება.

67. განზრახ ცრუ საჩივრის შემტანი სასამართლოში მიეცემა.

68. უსახელო საჩივარი არ განიხილება.

1920 წ. აპრილის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

# ყველა, ყველაფერი ფრონტისთვის

**არა ოფიციალური განყოფილება**

## მთავრობაში

**13 მაისის სხდომა**

დაესწრენ: ბ. ბ. ნ. ჟორდანია, არსენიძე, ერაძე, გეგეჭკორი, ხომერიკი, ლორთქიფანიძე, ანდრონიკაშვილი, ავალიანი, ბახტაძე, ცინცაძე, ნ. ჭიჭინაძე, გედევანიშვილი, ქარცივაძე, ჭავჭანიძე, ალშიბაია, ბ. ჭიჭინაძე.

საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე მდივანი დ. ლომთაძე.

**კანონ-პროექტის მიღება.**

კანონ-პროექტი სახალხო გვარდიის შტატების დამატებისა და ცვლილებებისა მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**ნვალიდებისათვის თანხის გაღება**

1. გადაიდოს შრომის სამინისტროს განკარგულებაში სესხად ერთი მილიონი მანეთი სამხედრო ფონდიდან დაჭრილ-დასახიჩრებულთა, ომში დაზოცილთა ოჯახებისა და ყოფილ პენსიონერებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. აღნიშნული თანხა შრომის სამინისტრომ დაუბრუნოს სამხედრო ფონდს, როგორც კი მიღებულ იქნება დამფუძნებელი კრების მიერ კანონ-პროექტი სოციალურ დახმარებისათვის 25 მილიონი მანეთის გაღებისა.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ პირთათვის დახმარების მიცემა დაევალოს შრომის სამინისტროს.

**მობილიზაციით გაწვეულ ჯარის-კაცთა ოჯახების დახმარებისათვის.**

სამხედრო სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დებულება მობილიზაციით გაწვეულ ჯარის-კაცთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენისა, მცირეოდენი შესწორებით, მიღებულ იქმნა დ გადაეცა დამფუძნებელ კრებას.

**მ. არამიანცის სახლის საფასურად თანხის გამოთხოვნა.**

შრომის მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა მ. არამიანცისაგან, მთავრობის საკუთრებად, იძულებით ჩამორთმეულ მამულის საფასურად სამი მილიონი მანეთის გადადების შესახებ მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**მოწყობილ ოთახებსა და გასტრონომიულ მაღაზიებზე სატრაქტირო გადასახადის დაწესება.**

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა ქ. ტფილისის სასარგებლოდ მოწყობილ ოთახებსა და გასტრონომიულ მაღაზიებზე სატრაქტირო გადასახადის დაწესების შესახებ მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**რესპუბლიკის ჯანმრთელობის დეპარტამენტის შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.**

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი რესპუბლიკის ჯანმრთელობის დეპარტამენტის შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**დადგენილების უარყოფა.**

დუშეთის სამაზრო ერობის ხმოსანთა მეორე ჩვეულებრივი ყრილობის დადგენილება ქ-ნ ტროიანსკისაგან უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევის შესახებ უარყოფილ იქმნას.

**გზა-ტკეცილების სამმართველოსათვის დამატებითი კრედიტის გახსნა.**

გზათა დეპარტამენტის დირექტორის მოხსენება გზა-ტკეცილების სამართველოსათვის 14.812.691 მ. 65 კ. დამატებითი კრედიტის გახსნის შესახებ მიღებულ იქმნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

**ავანსების გაცემის წესი.**

ის თანხები. რომლის გაღება დამფუძნებელი კრების მიერ 1-ლი აპრილის შემდეგ არის დაკანონებული, გაცემულ იქმნას მდგომარე მაისშიც. ყველა დანარჩენი საავანსო ასიგნოვკების შესახებ მთავრობა, როცა საჭიროდ დაინახავს, გამოიტანს სპეციალურ დადგენილებას თითეულ კერძო შემთხვევაში ცალკე, რომლის ძალით კანტროლმა იგი უნდა დაამტკიცოს.

ახალგაზრდობავ, მოწავლენო, არ დაივიწყოთ, რომ კვირას, 23 მაისს, დილის 10 საათიდან სასახლესაკენ უნდა ისწრაფოდეთ იქ უნდა შიიტანოთ ფრონტის საჭიროებისათვის თქვენი სახელით გასაგზავნათ პარკი, ჩანთა საჩუქრებითურთ: წერილით თქვენგან, თუთუნით, საპონით, პაპიროსებით, თხილით, სპიჩქითა და სხვა საჭირო ნივთებით შევსებული. ნუ დააკლებთ თქვენ ალერსს ფრონტს.

## შინაგან საქ. სამინისტროში

**შუამდგომლობა**

ახ ლციხის მუსულმანთა რწმუნებულებმა მულლა ზიმა შარიფ-ოღლიმ და მოლა ოსმან მოლა კადირ ოღლიმ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, მეჩეთი „ახმედიე"-დან გაძარცულ ნივთების აღსადგენათ დახმარების აღმოჩენის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო სათანადო ცნობებს კრებს ამის შესახებ—თუ რა პირობებში და ვისგან იქმნა გაძარცული აღნიშნული მეჩეთი.

—

ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსიდან ცნობა მიიღო შინაგან საქმეთა სამისისტრომ, რომ ამ ბოლო დროს გახშირებულია სასამსახურო შეღავათიან წერილებით კერძო წერილების გზავნა.

ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრო წინადადებას აძლევს ყველა მილიციის უფროსებს და ქალაქის და ერობათა გამგეობებს რათა მიღებულ იქმნას სათანადო ზომები ამ მოვლენის აღსაკვეცად.

**ჩვენი საღმთო ვალია მებრძოლთა დახმარება.**

## სამხედრო ცნობა

ტფილისი, 21 მაისი.

**რეპუბლიკის გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა.**

საქართველოს და ადერბეიჯანის მთავრობათა შეთანხმებით აღმოსავლეთ ფრონტზე შეწყვეტილია სამხედრო მოქმედებანი. სხვა მიმართულებებზე საწყნარეა.

**2) გმირულად დაღუპულ მებრძოლთ დარჩათ ქვრივი, ობლები, დავეხმაროთ მათ, შეუშროთ ცრემლები.**

## ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

**ახალგაზრდა საქართველოს!**

„ფრონტი ბავშვია—ფრონტს ალერსი სჭირია, ფრონტს ცოტა რამ გაამხნევებს".

ვალ. ჯუღელი.

პატარებო, მოსწავლენო, ახალგაზრდობავ! თქვენ მომავალსა და ბედნიერ, თავისუფალ სამშობლოს ჩვენი მებრძოლნი, ფრონტზე მდგომი მეომარნი ქმნიან. ბედმა თქვენ არ გარგუნათ იარაღით ხელში დაიცვათ თქვენი ტკბილი და ტურფა ქვეყანა.

ერის კეთილდღეობისთვის მოზარდი თაობა ღვრის სისხლს.

ფრონტზე მყოფთ, ჩვენ დამცველთ თქვენი თანაგრძნობა გაამხნევებს, მას შესძენს ძალას და განსაკუთრებით თქვენი ალერსია საჭირო. თქვენი სახელით ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი ახდენს საჩუქრების მოგროვებას ფრონტზე გადასაგზავნათ. კვირას, 23 მაისს, დაწყებული დილის 9 საათიდან ვიდრე 3 საათამდი და 5 საათიდან ვიდრე 7 საათამდე სასახლეში მიიღება თქვენგან, მშობლების დახმარებით გამზადებული პატარა ტომრები, პარკები. სასურველია შიგ ჩასდოთ ბარათი უცნობ მეომართადმი, გვარის, სახელისა და ადრესით აღნიშნული.

სასურველია ტომარაში იყოს: თუთუნი, სპიჩკა, პაპიროსი, საპონი, შოკოლადი, თხითი და სხვა, რაც ფრონტზეა საჭირო.

არც ერთი ახალგაზრდა არ უნდა ჩამორჩეს! ქონების მიხედვით, ყველანი თავიანთ ტომრებით უნდა მოვიდნენ სასმხლესთან დანიშნულ დროს.

დაამტკიცეთ, რომ რესპუბლიკანურ სამშობლოს ღირსნი შვილნი ხართ!

დააფასეთ თქვენი უფროსთა თავდადება!

**ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი.**

**რაოდენიმე მამა, ქმარი, ძმები გმირულად დაეცენ ბრძოლის ველზე. მათი აჩრდილი გვავალებს მათი ოჯახებისათვის ზრუნვას.**

**შემოწირულება.**

ფრონტის დღის მომწყობ მთავარ კომიტეტმა მიიღო კოჩიევის, კარლინსკის, თაიროვის ქარხნებიდან შემოწირულება დიდ ძალი რიცხვი საპნისა. ამავე კომიტეტმა მიიღო ვანცხადებანი: საქართველოს ცენტრო-ბანკისა და სავაჭრო-ბანკის ინიციატივობით საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან დააარსდა ვაჭარ-მრეწველთა მთავარი კომიტეტი, რომელმაც თავს იდვა შეგროვება ფულისა და ნივთებისა ფრონტასათვის განსაკუთრებით ვაჭარ-მრეწვ. შორის. მთავარმა კომიტეტმა დაჰყო ტფილისი 13 რაიონად და ამოირჩია შესაფერი სარაიონო კომიტეტები. გუშინ კომიტეტის რწმუნებულნი ივ. ტერზახაროვი, ნ. თავდგირიძე და ი. ლორთქიფანიძე უკვე შეუდგნენ ბანკებში და საბანაკო კანტორებში ფულის შეგროვებს, დღეს, შაბათს, მაისის 21-ს და ზეგ, ორშაბათს, 23-ს მაისს დაიწყება ფულის და ნივთების შეგროვება. საჩუქრები მეომრებს ვაჭარ-მრეწველთაგან გაეგზავნება 26 მაისისთვის. ფრონტზე საჩუქრებს გაჰყვებიან თან ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენელნი, რომელნიც პირადად დაურიგებენ მეომრებს საჩუქრებს. ვაჭ. მრეწ. მთავარ კომიტეტის პრეზიდიუმში არიან სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე დ. აფხაზი, ცენტრობანკის თავმჯდომარე პ. გოთუა და ვაჭ-მრეწ. მამასახლისი არ. მილოვი. ნივთების შემოწირულებათა მთავარი საწყობი იმყოფება ცენტრო-ბანკში (პუშკინის ქ. № 3). სადაც ყველა შემომწირველთ მიეცემათ კვიტანციები.

სია იმ მოქალაქეთა, რომელთაც მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე და ფრონტის სასარგებლოდ შემოსწირეს: 1) არკ. ნაზ. მილოვმა 50 ათასი მან., 2) მიხ. არამიანცმა 25 ათასი მან.. 3) გ. ხაჩატურიანმა და ამხ. 25 ათასი მან., 4) ა. და თ. აფრიკიანმა 25 ათასი მან., 5) მაილოვმა შვილებით 50 ათასი მან., 6) ბაგდასაროვმა 15 ათასი მან., 7) ავან იუზბაშევმა და ხან საღანაოოელმა 25 ათასი მან., 8) ყორღანოვმა და ამხ. 15 ათასი მან., 9) კავკასიის დამზღვევ საზ—ბამ 15 ათასი მან.

23 მაისს, კვირას დილის 10 ს. სასახლეში მოსწავლე ახალგაზრდობიდან მიიღება გამზადებული პარკებით საჩუქრები.

საერთაშორისო კლუბმა და ცირკმა კრისტენმა ერთი დღის საღამოს შემოსავალი გადასდო ფრონტის სასარგებლოდ.

**ვინც ფრონტს არ დაეხმარება ის სამშობლოს მოღალატეა!**

## თავდაცვისათვის

**გურიის სამაზრო ერობაში.**

9 მაისის სხდომაზე მომენტზე ვრცელ მოხსენებას აკეთებს საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრი ლეო რუხაძე, რომელიც დაწვრილებით ეხება, როგორც საქართველოს დღევანდელ და საშინაო მდგომარეობას, ისე ბალშევიკურ რუსეთის შინაურ წყობილებას.

მოხსენების შემდეგ ყრილობა ერთხმად ადგენს: მიესალმოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას, მთავრობას, მხედრობას და სახალხო გვარდიას.

**„დამფუძნებელ კრებას** — გურიის თემთა წარმომადგენლების ყრილობა სალამს უძღვნის რესპუბლიკის უზენაეს ორგანოს, დამფუძნებელ კრებას და აღუთქვამს მას სრულ დახმარებას მის ბრძნულ მუშაობაში. ყრილობას სწამს, რომ დამფუძნებელ კრების გარშემო შეკავშირებული ქართველი ხალხი უძლეველი გამოვა ყოველგვარ დაბრკოლებიდან და უკუაგდებს ჩვენზე მუქარით წამოსულ უხეშ ძალებს, გაუმარჯოს ხალხის წარმომადგენლებს".

**„რესპუბლიკის მთავრობას**—გურიის თემთა წარმომადგენლების ყრილობა სალამს უძღვნის რესპუბლიკის მთავრობას და აღუთქვამს თავდადებულ ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებაში. გურიას სწამს, რომ ეხლანდელი მთავრობის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხი გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებას და საქართველოს ეროვნული დროშა წითელ დროშასთან ერთად ძირს არ დაეშვება".

**„სამხედრო მინისტრს.**—გურიის თემთა წარმომადგენლების ყრილობა სალამს უძღვნის სამშობლოს დამცველ მხედრობას და აღუთქვამს მათ თავდადებულ მუშაობას ზურგის გასამაგრებლად. ოჯახის საუკეთესო შვილები ფრონტზე გაეშურნენ და მათ ოჯახებს თემები უწევენ პატრონობას. არც ერთი მიწის ნაჭერი დაუმუშავებელი არ დარჩება ამ მხრივ მათი ოჯახები და სამშობლო უზრუნველყოფილია. გაუმარჯოს მხედრობას".

**„გვარდიის მთავარ შტაბს**—გურიის თემთა წარმომადგენლების ყრილობა სალამს უძღვნის სახალხო გვარდიას და აღუთქვამს მას თავდადებულ მუშაობას ზურგის გასამაგრებლად. ოჯახის საუკეთესო შვილები ფრონტზე გაეშურნენ და მათ ოჯახებს თემები უწევენ პატრონობას არც ერთი მიწის ნაკვეთი დაუმუშავებელი არ დარჩება ამ მხრივ მათი ოჯახები და სამშობლო უზრუნველყოფილია. გაუმარჯოს გვარდიას".

მეორე საკითხის—მობილიზაციის მიმდინარეობის შესახებ ყრილობას მომხსენებს ერობის გამგეობის თავმჯდომარე და დასკვნის, რომ თემებმა უნდა მიიღოს გადაჭრილი ზომები იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც მობილიზაციას ექცევიან.

ყრილობა ადგენს—მიღებულ იქნას სასწრაფო და გადაჭრილი ზომები მობილიზაციის უნაკლოთ ჩასატარებლად.

მესამე საკითხის—ჯარსა და გვარდიაში გაწვეულთა ოჯახების დახმარების შესახებ ყრილობა ერობის თავმჯდომარის ს. ჭანტურიშვილისა და გამგეობის წევრის კ. ქავთარაძის მოხსენებათა და მცირე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ადგენს:

1. ომში გაწვეულთა ყანების დამუშავების შესახებ მთავრობის დადგენილების ცხოვრებაში საჩქაროთ გატარება ევალება თემის გამგეობებს;

2. ამ მიზნით თემის გამგეობა თემის ყოველ სოფელში აწყობს სამ-სამი კაცისაგან შემდგარ შრომის კომისიებს;

3. სასოფლო შრომის კომისიებს ევალებათ: ა) შედგენა სიისა იმ ჯარისკაცთა და გვარდიელთა, რომელთა ოჯახები მათი გაწვევის შემდეგ უმუშახელოდ დარჩენ; ბ) ცნობაში მოყვანა მათი საყანე მიწებისა; გ) აღრიცხვა ამ სოფელში მუშა ხელისა და აგრეთვე არა მიწის მუშა შეძლებულ პირთა და მათი გაწესრიგება ომში გაწვეულთა საყანეების დასამუშავებლად რიგრიგობით.

**შენიშვნა**: არა მიწის მუშა შეძლებული პირი იხდის ფულს მისდამი დასამუშავებლად ხვედრ მიწის რაოდენობის მიხედვით;

დ) სასოფლო შრომის კომისია ყოველკვირეულათ აწვდის ცნობას მუშაობის მიმდინარეობის შესახებ თემის გამგეობას;

ე) თემის გამგეობა კი ყოველ ორ კვირაში მოახსენებს სამაზრო ერობის გამგეობას საქმის მიმდინარეობის შესახებ;

4. ყოველ თემში დაარსდეს აგრეთვე მეომართა დამხმარე კომიტეტი თემის გამგეობის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით.

ამ კომიტეტის ვალდებულებას შეადგენს—ფულით თუ ნატურით დახმარება ომში გაწვეულთა გაჭირვებულ ოჯახებისათვის. ეს დახმარება იკრიბებოდეს კომიტეტის მიერ თემის ფარგლებში ოჯახის მატერიალურ მდგომარეობის მიხედვით.

კომიტეტის მიერ შეგროვილი თანხის სამი მეოთხედი რჩება ადგილობრივად და ანაწილებს მას თემის გამგეობა, ერთი მეოთხედი იგზავნება სამაზრო ერობაში.

ხუხეინ.

—

**აბაშა.**

აბაშის თემის მცხოვრებთა კრება სიამოვნებით ეგებება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის შორის ზავის ჩამოგდებას. კრება აღნიშნავს, **რომ ეს** ზავი შედეგია ჩვენი დემოკრატიის მთლიანობისა, ერთსულოვნობისა, პოლიტიკური სიმწიფისა, სიმტკიცისა და სწორი ტაქტიკისა. კრება, სდგას რა ამ მთლიანობისა და სწორ-ტაქტიკის ნიადაგზე, გვერდში უდგას ჩვენს დემოკრატიის გვირგვინს, დამფუძნებელი კრებას და ღირსეულ მთავრობას. მასთან ერთად კრება მზათაა იბრძოლოს ამ ზავის განსამტკიცებლად და მით დაიცავს ჩვენი ერის სუვერე-

ნული უფლება, დემოკრატიული წეს-წყობილება და მისი საარსებო უფლებები ყოველივე გარეშე, თუ შინაურ თავხედ ძალისაგან, ვინც კი მოისურვებს ამის შელახვას.

აბაშის თემის საერობო გამგეობის თავმჯდომარე.

**ოსმალეთის ფულებით მოსყიდული „წითელი“ ბანდები გვემუქრებიან; მათ ასალაგმავად იბრძვიან ჩვენი ერის საუკეთესო შვილნი, დაუმტკიცოთ, რომ ჩვენც მათთან ვართ!**

## 26-ს მაისისათვის

პარასკევს 21 მაისს შესდგა დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის მე-3 სხდომა, რომელსაც დაესწრო ქ. ტფილისის ყველა პოლიტიკურ და კულტურულ-საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენელნი. კრებამ დაადასტურა რა დღესასწაულის ის საერთო ხასიათი, რომელიც გამოცხადებული იყო პრესის საშუალებით დაადგინა: დაწვრილებით ცერემონიალი ამ დღისათვის გამოცხადდეს პრესაში კვირას, 23 მაისისათვის და შემდეგ დღეებსაც. სასურველი წესრიგის შექმნისათვის მოწვეულ იქნას სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და აგრეთვე მოიწვიოს საზოგადოებიდან ამ საქმისათვის გამოსადეგი პირები.

ამასთანავე კრებამ დაადგინა განმეორებით ეთხოვოს ყველა ორგანიზაციებს, რომელთაც სურთ დღესასწაულში მონაწილეობის მიღება განუცხადონ ამის შესახებ კომისიას და აგრეთვე აცნობონ მას არა უგვიანეს 24 მაისისა, თუ რა სახით სურთ მათ ამა თუ იმ მონაწილეობის მიღება. ყოველგვარი განცხადება მონაწილეობის მისაღებად 24 მაისის შემდეგ, კომისიის მიერ უარყოფილი იქნება.

კომისიას ყოველ დღე სხდომები აქვს.

**1) ჩვენი მებრძოლნი სიცოცხლეს სწირავენ, ნუ თუ თქვენ ქონება უნდა დაიშუროთ?!**

## მოწერილი ამბები

### ყარაიაზის რაიონი.

ყარაიაზის რაიონის შესახებ ტფილისის მაზრის ერობის ხმოსანი ივ. ზოდელავა: შემდეგს გვაცნობებს. ყარაიაზის რაიონი, როგორც მიწის ხვნა-თესვის გამოსაყენი ადგილი შეიძლება წარმოვიდგინოთ ბ-ნ ზოდელავას დახასიათებით ასე: პირველი ნაწილი, რომელიც შეიცავს არხებით მოქსელილ ველს და საზოგადოდ მოწესრიგებულს; მეორე ნაწილი —შეიძლება გახდეს სარწყავ მამულად, რადგან იგი მეტად მდიდარია ბუნებით და მესამე ნაწილი—წარმოადგენს საზამთრო საძოვარს, ორი უკანასკნელი ნაწილით. სარგებლობენ მეჯოგეები და მესაქონლეები. ყარაიაზის მოსაზღვრე აზერბეიჯანის ქვეშევრდომნი გაზაფხულობით სარგებლობენ ყარაიაზის ადგილებით, როგორც საძოვრით. უწინ ყარაიაზში რუს გადმოსახლებულთ შედარებით მკვიდრ მცხოვრებლებთან ეძლეოდათ დიდი უპირატესობა: მათ ეძლეოდათ სულზე ექვსი დღის საუკეთესო მიწა; საშუალოდ რუს მოსახლე ოჯახს უწევდა არა ნაკლებ ოცდა ათი დღიურასა, გარდა სახლ-კარის ადგილისა, რომელიც ცალკე ეძლეოდათ. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მკვიდრ მცხოვრებლის კომლზე კამერალიით ეძლეოდათ არა უმეტეს ათი დღიურისა, რომელშიაც შედიოდა სასახლ-კარე ადგილიც. ამ რიგად კმაყოფილდებოდა მცირე ნაწილი თათართა მოსახლეობისა, მხოლოდ მისი ორი მესამედი ნაწილი დარჩენილი იყო თითქმის უმიწა-წყლოდ. საქართველოს რესპუბლიკის მფლობელობის დამყარების შემდეგ ამ რაიონში მიწის საკითხი ძირიან-ფესვიანად შეიცვალა და მყარდება თანასწორიანი და სამართლიანი განაწილება მიწისა. დღეს მკვიდრნი (თათრები და გადმოსახლებული ქართველები) სარგებლობენ მიწით ერთნაირად და თითქმის თათართა მოსახლეობას უპირატესობა კი ეძლევათ მით, რომ გარდა ქართველებთან საერთო ნორმისა ეძლევათ კიდევ სახელმწიფო საძოვარი ადგილები. საზოგადოთ ყოველნაირად უმართვენ ხელს, რომ დაბალ საფეხურის ყოფა-ცხოვრებიდან—მცხოვრებლებმა თავი დაიხსნიონ. ამას უნდა მიუმატოთ რესპუალიკის უფასოდ შემოღებული სწავლა, ექიმობა, რაც ძველ დროს შეადგენდა მხოლოდ რუსთა მცხვრებთა პრივილეგიას. ჩვენი მთავრობის კეთილ მზრუნველობას, ბ-ნ ზოდელავას დამოწმებით, რომელსაც კარგად სცნობია ადგილობრივი მოსახლეობა და მათი სულიერი განწყობილება, კარგად გრძნობს თათრის მოსახლეობა და შესაფერისადაც აფასებენ ამას. დღევანდელ საქართველოს და აზერბეიჯანის ატეხილ ომში მცხოვრებლებს თავი უჭირავთ, არამც თუ ლოიალურად არამედ სრულიად თანაგრძნობითაც კი უყურებენ საქართველოს მთავრობას. ვერავითარი პროვოკაცია მათში ფეხს ვერ იკიდებს, რაიც აშკარა შედეგია მომენტის სწორ შეფასებისა.

**კიდევ რამოდენიმე იერიში და დამარცხებული მტერი დაიჩოქებს ჩვენს წინაშე, საჭიროა მხოლოდ ზურგის სიმაგრე.**

## დეპეშები

### (საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

### ბალშევიკური ცნობები.

მოსკოვი, 19 მაისი. სამხედრო ცნობები. პიტალოვის მიმართულებით ჩვენ უკუ ვაგდეთ მტრის შემოტევის ცდა ეოგოვო-პოლოცკის რაიონში. ლეპელის რაიონში ჩვენი ჯარები 14 მაისს საერთო შეტევაზე გადავიდენ და მათ მტრის პოზიციები გაარღვიეს. პოლოცკ-მოლოდეჩნოს რკინის გზის რაიონსა და ლეპელის ჩრდილოეთით მტერი ჩვენი შეტევის შეჩერებას სცდილობდა, მაგრამ ვერ გაუძლო რა ჩვენ უეცარ მიწოლას, განაგრძობს უკან დახევას... დაბა ბერიზინის რაიონში ენერგიული შეტევა გრძელდება. პოლოცკ-მოლოდეჩნოს რკინის გზის რაიონში ხელთ ვიგდეთ სურსათ-სანოვაგე და სამხედრო მასალები. ბორისოვის რაიონში ჩვენი ნაწილები შეტევაზე გადავიდენ. მდ. ბერეზინის მარჯვენა ნაპირზე პლაც-დარმის გასაფართოებლად ბრძოლები სწარმოებს. ჟლობინ-მოზირის გზის რაიონში და დაბა გორნის ჩრდილოეთით, რეჩიცის ჩრდილოეთ. დასავლეთით 25 ვერსზე სასტიკი ბრძოლები გრძელდება. რეჩიცის მიმართულებით, დნეპრის მარცხენა ნაპირზე ბრძოლებია... (გამოტოვებულია) ჰაეროპლანი, მაგრამ ჩვენი არტილერიის საპასუხო ცეცხლის შემდეგ ჩრდილოეთ-დასავლეთ მიმართულებით წავიდენ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან მიიღო დეპეშა ყირიმის ფრონტზე საყოველთაო ამნისტიის საფუძველებზე საზავო მოლაპარაკების დაწყებაზე თანხმობის განცხადების შესახებ. ის სწერს: ინგლისის მთავრობას სურს რაც შეიძლება მალე შესწყდეს ბრძოლა წითელსა და თეთრ არმიას შორის, იგი პირობას იძლევა ხელი შეუწყოს სამხრეთ რუსეთში დაუყონებლივ მოლაპარაკების დაწყებას, მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებენ გენერალი ვრანგელი და ინგლისის სამხედრო და პოლიტიკური წარმომადგენლები.

როგორც იტყობინებიან ფრონტის ახლო მდებარე რაიონების მცხოვრებნი, რომელთაც პოლონელების შემოსევა მოელით, სტოვებენ თავის სახლ-კარს და პოლონეთის ბატონობისაგან თავის გადარჩენას ფიქრობენ.

**მოსკოვი 21 მაისი.** ვოლინო-მოზირის რაიონში მზვერავთა მოქმედებაა. მდ. პრიპიატის შესართავთან ჩვენ მტრის ჯავშნიანი მატარებელი ავაფეთქეთ. კიევის რაიონში არავითარი მნიშვნელოვანი რამ არ მომხდარა. ზვენიგოროდსკის რაიონში ჩვენ ზვენიგოროდსკის ჩრდილო-დასავლეთით 40 ვერსტზე სოფელთა მთელი წყება დაკიკავეთ. ვაპნიარის რაიონში რკინის გზის ორივე მხარეზე ბრძოლა სწარმოებს. სადგ. კადიმთან შევიპყარით მტრის თვითმფრინავი. დასრულდა თეთრების მიერ მდ. ყუბანზე აფეთქებულ ხიდის აღდგენა.

**ყველანი ფრონტისთვის უნდა ვფიქრობდეთ. ჩვენი ჯარის გამაგრება-დემოკრატიის გამარჯვებაა.**

## სენატორ როინაშვილის რევიზია

არ შეიძლება არ აღვნიშნო ის სასიამოვნო შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს ის თვალსაჩინო წესრიგი, დამყარებული ქუთაისის სამაზრო ერობაში ახალგაზდათა მორიგი გაწვევის და მობილიზაციის მოხდენის შესახებ.

სწორეთ გასაკვირველია ის დაუღალავი ენერგია და გამოცდილება, რომელიც გამოიჩინეს გამგეობის წევრმა ფალავანდიშვილმა და საქმის მწარმოებელმა ბოკერიამ ამისთანა ახალ და რთულ დარგში, როგორც არის სამხედრო გაწვევის მოწყობა და დღეს, როცა სამშობლო განიცდის მძიმე წამს. მარტო სრულ შეგნებას, თავის წმიდა მოვალეობის და სამშობლოს სიყვარულს შეუძლია მოაწყოს საქმე ასე მთლიანათ და მწყობრათ, რაც საჭიროა ხაზ გასმულ იქმნეს, როგორც ბრწყინვალე მაგალითი სასურველი ყველა უწყებისთვის.

ვთხოვ ყველა გაზეთებში გადაბეჭდვას.

სენატორი **ი. როინაშვილი.**

## ქილიციაში

— 19 მაისს სისხლ. სამ. მილიც. უფროსმა სამხედრო ციხეში დააპატიმრა მთავრობის თავმჯდომარის პირადი ადიუტანტი მაიორი ალექსანდრე გიორგისძე ჩხეიძე, რომელმაც შემდეგი დანაშაული ჩაიდინა: მთავრობის თავმჯდომარემ დაავალა მას ეტლისა და ლონდოს ყიდვა. პოლკ. ჩხეიძემ იყიდა ისინი მირზოვებისაგან, ეტლში მისცა 60000 მ. და ლონდოში 100000 მ. ანგარიში შეადგინა თვით ჩხეიძემ და მირზოევის მაგივრათ მოაწერა ხელი. ეტლის ფასი დასწერა 100000 მ. და ლონდოსი 130000 მ. აქედან თავის სასარგებლოთ მიიღო 70000 მ. ამავე დროს ჩხეიძემ ვითომ მთავრობის სახელით იყიდა ეტლი 30000 მ. ცეცხლის მქრობელ რაზმის ბრატმეისტერის გ. ბერიძისთვის, რომელმაც მას დახმარება აღმოუჩინა ამ საქმეში.

— 19 მაისს დავით ისაის ძე ტომაზოვმა სისხლ. სამ. მილიციას განუცხადა, რომ მას მოჰპარეს ნივთები, ღირებული 120.000 მ. იქვი აქვს თავის მსახურ ქალზე ეკატერინე-ორონცოვაზე, რომელიც დაიმალა, სისხლ. სამ. მილიციამ გამოარკვია, რომ ის წავიდო და კავკაზში, და მართლაც შეიპყრო ის იმ დროს, როდესაც ავტომობილის ბილეთს ყიდულობდა. ის გამოტყდა დანაშაულში და ნივთებზეც მიუთითა მილიციას. ნივთები პატრონს ჩაბარდა, ვორონცოვა დაპატიმრებულია, საქმე სასამართლოს გადაეცა.

— სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა ქალაქ. გამგ. ტეხნიკურ განყოფ. მოანგარიშე-საქმის მწარმოებელი ა. ა. შახნაზაროვი, რომელსაც ბრალათ ედება 54.790 მან. მითის ება. წისქვილის პატრონს ის ახდევინებდა 250 მ. და სწერდა 150 მ. აქედან განსხვავებას იტოვებდა თითონ.

**ჩვენი რესპუბლიკის ბედი ფრონტზეა დამოკიდებული ნუ დაიზოგავთ თავს მისთვის.**

## ახალი ამბები

✦ 24 მაისისთვის განზრახული ქართულ ენის მცოდნეთა კონფერენცია, რადგან საორგანიზაციო კომისიამ თავის მუშაობა ვერ დაამთავრა შესდგება ივნისის 1-ს.

✦ რუსთა ეროვნულმა საბჭომ გაგზავნა გუშინ რუსეთში 120 კაცი, რომელთაც სურვილი ჰქონდათ რუსეთში გამგზავრებისა და დღემდის ვერ მოეერხებინათ წასვლა.

✦ გენ.-გუბერნატორის ვ. სულაქველიძის განკარგულებით გ. ახვლედიანი დაინიშნა ბორჩალოს მაზრის მილიციის უფროსად და არა გენ.-გუბერნატორად, როგორც ეს გუშინდელ ნომერში გვქონდა აღნიშნული.

✦ რესპუბლიკის ექიმთა პროფესიონალურ კავშირის ტფილისის განყოფილების საერთო კრება შესდგება სამშაბათს, 25 მაისს 1920 წ. საღამოს $7^1/_2$ ს. „კავკასიის საექიმო საზოგადოების“ დარბაზში (გიორგის ქ. № 4, ალექსანდრეს ბაღის ახლო). დღიური წეს-რიგი: 1) ექ. ღულაძის და ტფილისის ჰოსპიტლის ექიმთა კოლეგიის შორის მომხდარ კონფლიქტის განხილვა, 2) მიმდინარე საკითხები.

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

**მობილიზაციის მიზეზის გამო**

ყველა ნახევარ წილს

**კაფე-რესტორანს „რენან“-ს**

გოლოვინის პროსპექტზედ, ბინა № 8 ზუბალოვისა. 1136 1—1

დაიკარგა სასურსათო წიგნაკი № 20951 სოფიო ხანგანეზოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 955 3—3

## წიგნების გამოცემლობა

### ალ. არაბიძის და ამხ.

ტფილისი, დამფუძნებელ კრების ქუჩა № 5.

**გამოვიდა და იყიდება:**

1) ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია I ნაწილი; იგივე მე-II ნაწილი.

2) ივან. ნიკოლაიშვილი, ქართული მოკლე გრამატიკა.

3) დ. უზნაძე, ძველი ისტორია.

4) Я. Зедгинидзе и Джапаридзе, Методическая Хрестоматія по русскому языку.

5) იაკობ ზედგინიძე, ახალი ქარ. ანბანი. მისივე, ანბანის სწავლება (მეთოდიკა).

6) Н Николадзе, Армяно-Грузинскія отношенія,

7) გერმანიის კონსტიტუცია.

8) გერ. ქიქოძე, პოლიტიკური წერილები.

**მზადდება დასაბეჭდათ**

1) ხვოლსონი. შეიძლება თუ არა გამოვიყენოთ ფიზიკის კანონები მსოფლიოსთვის.

2) კრაევიჩი, ფიზიკის სახელმძღვანელო საშუალო სკოლისათვის მეექვსე კლასის კურსი. შესავალი, მოძრაობა და ძალები, სითხეები და გაზები; მისივე მეშვიდე კლასის კურსი—სითბო; მისივე მერვე კლასის კურსი მექანიკა.

3) სვანტე არენიუსი, მსოფლიო.

4) პროფესორი შჩუკარევი, ენერგია და ენთროპია (ელემენტარული სწავლა); მისივე მოლეკულიარული ფიზიკა (ელემენტარული სწავლა). ორი უკანასკნელი წიგნები წარმოადგენენ ლექციებს წაკითხულს მოსკოვის სახალხო უნივერსიტეტში.

5) ღელმგოლცი, ენერგიის შენახვის კანონი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წიგნები ნათარგმნია ა. ჰ. სვანაძის მიერ.

მზადდება დასაბეჭდათ ირეთელის ნაწერები სამ ტომად, თითო ტომში იქნება 250—300 გვერდი.

პირველ წიგნად გამოდის პიესები.

გამოვიდა და იყიდება ნოე ჟორდანიას სურათი ცარცის ქაღალდზე დაბეჭდილი.

მზადდება დასაბეჭდათ დიდი სერია პოლიტიკურ მოღვაწეთა სურთებისა.

ყველა სურათები გამოვა იმ რიგათ, როგორც ნოე ჟორდანიას სურათია.

ირაკ. წერეთელი, კარლო ჩხეიძე, აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, გრ. ლორთქიფანიძე და სხვა. 526 1—1

აკაკი ილიას ძე კაკაბაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუთაისის რეალურ სასწავლებლიდან 1914 წელს მიღებული სიმწიფის მოწმობა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1129 3—1

დაიკარგა ტფილისის ქართულ გიმნაზიაში ოთხი კლასის დამთავრების მოწმობა გიორგი ტარასის ძე ჩინჩალაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1115 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ალექსანდრე მილოვის სახლის, მდებარე მე-5 სამილიციო რაიონში დირსაჩალის შესახვევში № 7, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—1

დაიკარგა ტფილისის კულტურ-ტეხნიკური სასწავლებლის მესამე კლასის აგრონომიულ განყოფილების მოწმობის სერგი ელენტის სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 346. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ) 3—1

დაიკარგა პასპორტი № 842 ავეტიკ ოგანეზას ძე გაბრიელოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1063 3—1

დაიკარგა 1919 წ. საბინაო წიგნაკი ელისაბედ მოსეს ასულის გრიქურეოვას სახლისა, რომელიც მდებარებს სურფ მინასის შესახვევში. გაუქმებულათ ჩამთვალოს. 1086 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 147 ბიქტორ გიორგის ძე დარსაველიძის სახელზე, მიღებული დიდი ჯიხაიშის სამმართველოდან 1912 წელს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1089 3—1

დაიკარგა ვასილი (იგივე ვართანი) ტერ ოგანეზის ძე სუზაეჯიანცის სახელზე შემდეგი საბუთები: პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან; ბილიარდის ნებართვა და პატენტი და 5000 მ. ხელწერილი სიმონ ჩადუნელის მიერ მოცემული და სხვა ხელწერილები. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1096 3—1

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ ბაბავარიანი.